საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 40 06/08/2018

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ

„საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 01 აგვისტოს №01/08/02 განკარგულების გათვალისწინებით

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალების გამოსაფენად გამოიყოს ადგილები დანართი #1 - ის შესაბამისად.

მუხლი 2. აიკრძალოს საარჩევნო პლაკატების გამოკვრა საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, პოლიციისა და სასამართლოს ინტერიერებსა და ექსტერიერებში, ასევე საგზაო ნიშნებზე.

მუხლი 3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 06 აგვისტოს N50/ განკარგულების #1 დანართით სააგიტაციო მასალების გამოსაფენად განსაზღვრულ თითოეულ ადგილზე საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილით.

მუხლი 4 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 06 აგვისტოს N50/ განკარგულების #1 დანართით განსაზღვრულ სააგიტაციო მასალების გამოსაფენ

ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი)

მუხლი 5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 06 აგვისტოს N50/ განკარგულების #1 დანართით განსაზღვრულ ადგილებში, საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს ორი ცალით;

მუხლი 6. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს

მუხლი 7. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს განკარგულების (საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაციის) გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მუხლი 9. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე